საინტერესო მონოგრაფია ფულის შესახებ

ახლახან გამოვიდა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ინოვაციური ეროვნული საკვლევი ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-მუშაკის, ქალბატონი ლამარა ქოქიაურის მონოგრაფია **„ფული“,** გამომცემლობა „კალმოსანი“ გვ. 676.

მეცნიერ-რედაქტორი: **ნანა ასლამაზიშვილი,** ეკონომიკის აკადემიური დოქტორი.

რედაქტორი: **ვალერი მოსიაშვილი,** ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი.

რეცენზენტები: **გიორგი ცაავა**, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,პროფესორი

მაყვალა სხირტლაძე, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი.

ბადრი გეჩბაია, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი.

მონოგრაფია მიძღვნილია დღეისათვის ფუნდამენტური და ერთ-ერთი ყველაზე რთული და იდუმალებით მოცული სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიის -ფულის არსის, მისი კატეგორიალური მახასიათებლების, ფუნქციების, განვითარების ენდოთეორიტიკული(თეორიულ-მეთოდოლოგიურ) საკითხებისადმი; შევეცადეთ შეგვესწავლა ფულის ფენომენი არამარტო კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის, არამედ მისი ფუნქციონირების ისტორიული, სოციალურ-სამართლებრივი საფუძვლების სრულყოფის, ფილოსოფიის, ეთნოგრაფიის, ენათმეცნიერების, ფსიქოლოგიის და სხვა ემპირიული ინფორმაციების საფუძველზე.

ავტორმა გვერდი ვერ აუარა ფულის წარმოშობისა და ბუნების ეგზოგენურ და ენდოგენური მიწოდების კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების, ფულის ევოლუციის, ფულის და მისი ფუნქციების მატერიალური ტრანსფორმაციის, ფულის მასის კომპონენტების განსაზღვრის კონცეფციების, ფულის ემისიისა და ინფალაციის, ფულის კლასიკური თეორიების განხილვას. შედეგად შევეცადეთ წარმოგვედგინა ზემოთ აღნიშნული პრობლემების გადაჭრის და სრულყოფის წინადადებების კომპლექსი.

მონოგრაფია საინტერესო იქნება მეცნიერთათვის, ფულადი ურთიერთობების მკვლევართათვის, ფულადი სისტემის და მონეტარული პროცესების მარეგულირებელი ორგანოების სფეროს სპეციალისტებისთვის, უმაღლესი სკოლების პროფესურისა და სტუდენტებისთვის.

მაყვალა სხირტლაძე, აკადემიური დოქტორი, პროფერსორი.

ბადრი გეჩბაია, აკადემიური დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეროვნული ინოვაციური საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი.